ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0124086515**
გაცემის თარიღი: **22/04/2024**

ადრესატი: ირაკლი დევდარიანი
პირადი ნომერი: 52001024541
მისამართი: წალკა თამარ მეფის ქ. N 41

ბატონო ირაკლი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა, თქვენი 21.03.2024 წლის №01240811705-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სააგენტოს პოზიციას, მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.19.39.005.076) გამოყენებასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.005.076) შეთანხმებულია, III კლასის საცურაო აუზის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა (02/09/2021 წლის (ბრძანება №5578955), რომლის მიხედვით საპროექტო ობიექტი წარმოადგენს ერთიანი კონსტრუქციის მქონე ნაგებობას, ხოლო, წარმოდგენილი სახით გამოყენების შემთხვევაში დაირღვევა ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესებით (თავი V, მუხლი 29) განსაზღვრული მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია ერთი შენობის განთავსება ერთზე მეტ მიწის ნაკვეთზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა და გასცეს დადებითი ქალაქგემარებითი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი